საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული
კომისის თავმჯდომარეს
ბატონ ირაკლი ჩიქოვანს

ქ. თბილისი 4.08.2009წ

კომისიის 17.10.2008 წლის №605\9 გადაწყვეტლების და კომისიის 24.07.09 წ. №02\1377-09 წერილის საფუძველზე წარმოგიდგენთ შპს „ჯეონეთის“ გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდების წინადადებას.

პატივისცემით,
შპს „ჯეონეთის“ დირექტორი: ა. ქევხიშვილი

შემოსულია №6/1933-09
05 08 2009
1+2 ფურცელი

ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 41, ტელ.: (995)47 00 00 ფაქსი: (995)47 00 01 E-mail: geonet@geonet.ge http://www.geonet.ge

გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდების შეთავაზება

(კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2008 წლის 17 ოქტომბრის №605\9 გადაწყვეტილების თანახმად)

ქ. თბილისი 4.08.2009

1. ურთიერთჩართვის წერტილი ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №31.

2. პირდაპირი გაფართოებული ურთიერთჩართვა ხორციელდება მხარეთა მიერ თავიანთ ქსელში საჭირო სიმძლავრის საკომუნიკაციო პორტების გამოყოფით. TCP\IP პროტოკოლის გამოყენებით, Ethernet ტექნოლოგიით;

3. გაფართოებული ურთიერთჩართვისათვის გამოყენებულია კომპანია Cisco-ს მიერ წარმოებული აპარატურა. ურთიერთჩართვის მოთხოვნის შემთხვევაში მხარე ვალდებულია გამოიყენოს იგივე ან თავსებადი აპარატურა და პროგრამული უზრუნველყოფა;

4. პირდაპირი გაფართოებული ურთიერთჩართვის მოთხოვნის შემთხვევაში, „ჯეონეთი" გამოყოფს სათანადო სიმეტრიულ პორტს, რომლის გამტარუნარიანობა განისაზღვრება 100 მბიტ\წმ საკომუნიკაციო ექვივალენტით;

5. პირდაპირი გაფართოებული ურთიერთჩართვის არხზე ინტერნეტ ტრაფიკის პაკეტების გადაცემის გარანტირებული ხარისხის მახასიათებლად განისაზღვრება: IP პაკეტების დანაკარგების დასაშვები დონე - 1%; გადაცემული პაკეტების დაყოვნების დრო -50 მლწმ; გადაცემული პაკეტების დაყოვნების საშუალო სტატისტიკური გადახრის საზღვრები – 40 მლწმ. ტესტირების მინიმალური დრო 1 სთ;

6. მხარეები უზრუნველყოფენ მარშრუტიზაციას, რომლითაც შესაძლებელი იქნება ერთმანეთის ქსელში არსებულ IP მისამართებთან მომხმარებელთა შეუზღუდავი და არადისკრიმინაციული დაშვება;

7. დაზიანების შემთხვევაში (რაც არ არის გამოწვეული ფორს-მაჟორული გარემოებებით) მხარე, რომლის ტექნიკური საშუალებაც გამოვიდა მწყობრიდან დაუყონებლივ ატყობინებს მეორე მხარეს მის შესახებ და იღებს ყველა შესაძლო ზომას, რომ არაუგვიანეს 12 საათის განმავლობაში აღმოფხვრას ავარიის შედეგები, ან სხვა გზით აღადგინოს ურთიერთჩართვა;

8 „ჯეონეთი" უზრუნველყოფს პირდაპირ გაფართოებულ ურთიერთჩართვას, ხოლო ტრანზიტული ურთიერთჩართვა განხორციელდება დამატებითი შეთანხმებით;

9. პირდაპირი გაფართოებული ურთიერთჩართვის შესახებ წერილობითი მომართვიდან 10 სამუშაო დღის ვადაში „ჯეონეთი" მსურველ მხარეს აცნობებს ურთიერთჩართვისათვის საჭირო საშუალებების არსებობის შესახებ;

10. ურთიერთჩართვისათვის საჭირო საშუალებების არსებობის შემთხვევაში 5 სამუშაო დღის ვადაში მხარეთა შორის გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება;

ყოველ გამოყოფილ 100 მგ\წმ ექვივალენტური პორტისთვის მხარეები ანგარიშსწორებას მოახდენენ 500 ლარის ოდენობით დღგ-ს გარეშე;

12. ანგარიშსორება იწარმოებს ურთიერთგაქვითვის პრინციპის საფუძველზე, ანგარიშ-ფაქტურების გაცვლით და ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით;

13. მხარეთა მიერ ერთმანეთისთვის ანგარიშ-ფაქტურების წარდგენა იწარმოებს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე;

14. რეალურად გამოყოფილი სიმძლავრე და ფასი განისაზღვრება კონკრეტული დანართით ხელშეკრულებაზე;

15. პირდაპირი გაფართოებული ურთიერთჩართვის შესახებ წერილობითი მომართვიდან 5 სამუშაო დღის ვადაში ჩართვის მსურველ ოპერატორს „ჯეონეთი" აცნობებს ურთიერთჩართვისთვის საჭირო საშუალებების არსებობის შესახებ, რომლის არსებობის შემთხვევაში გაფორმდება 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში ხელშეკრულება;

16. მოწვევის ოფერტის მოქმედების ვადაა 12 თვე.

შპს „ჯეონეთის"
დირექტორი: ა. ქევხიშვილი

GEORGIA TBILISI * 204918321 * "GEONET" LTD